განმცხადებელი : ანასტასია ლოსაბერიძე

თარიღი : 06-10-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 4;პრინციპი 5;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია იმედი, "იმედის დილის" რუბრიკა "თათების იმედის" წამყვანი სოფიო ბეროშვილი.

სადავო მასალა : ⚠ „როცა მოთხოვა ჩემმა მეგობარმა სახელწოდება: "ძაღლის ფოტო, ირკვევა, რომ ძაღლი მკვდარი იყო და აპოზირებდა ძაღლს ამ ფოტოში“ - საფრთხე ცხოველების სასტუმროებში https://fb.watch/f_oyZlTCnw/

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : პრინციპი 1. "იმედის დილის" რუბრიკა "თათების იმედის" წამყვანმა სოფიო ბევროშვილმა არ სცა პატივი სიმართლეს და პროფესიულ ეთიკას, პროფესიულ კეთილსინდისიერებას. სიუჟეტი შეეხებოდა ცხოველთა სასტუმრო სკუპ-ში მომხდარ ფაქტებს. სიუჟეტში იყო ნახსენები ჩემი სახელი და გვარი. ასევე, გასარაჯოვებული იყო ჩემი პირადი მიმოწერა ჩემთან შეთანხმების გარეშე, არ დამიკავშირდა ჟურნალისტი და არ აიღო ჩემგან ინტერვიუ. სიუჟეტში, სადაც ძირითად მე ვფიგურირებდი, როგორც ერთ-ერთი მთავარი პირი, არ გამაკეთებინეს კომენტარი. პრინციპი 3. სიუჟეტში მიზანმიმართულად და წინასწარ განზრახვით გავრცელდა ცრუ ინფორმაცია ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ფაქტების შესახებ. კონკრეტულად: ერთ-ერთმა რესპოდენტმა სიუჟეტში განაცხადა რომ მე სასტუმრო "სკუპ-ის" ბიზნესპარტნიორი და მეწილე ვარ, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა და ჟურნალისტმა ეს ყველაფერი გადამოწმების გარეშე გაუშვა ეთერში. პრინციპი 4. ჟურნალისტმა დედაჩემისგან (სოფო ლოსაბერიძისგან) აიღო ინტერვიუ, სადაც საუბრის ბოლოს, როცა ჟურნალისტმა სოფიო ბეროშვილმა დედაჩემს უთხრა რომ ჩაწერას მორჩა და მიკროფონს ხსნიდა, ჩუმად და მალულად ჩაიწერა მისი საუბარი და გაუშვა ეთერში. პრინციპი 5. ჟურნალისტს არ გადაუმოწმებია არც ერთი ფაქტი, რაზედაც საუბარი იყო სიუჟეტში, რის გამოც არის ბევრი უზუსტობა და სამწუხაროდ ტყუილი სიუჟეტში. ერთ-ერთია: ვითომ მე სასტუმროს წილის მფლობელი ვიყავი, არადა, უბრალოდ თანამშრომელი ვიყავი და ვიღებდი ჩვეულებრივად ხელფასს. პრინციპი 11. ჟურნალისტმა განზრახ დაამახინჯა ფაქტები. როგორც ერთი მხარის პოსტები გაასაჯაროვა, ასევე, არ გაასაჯაროვა მეორე მხარის (ანუ ჩემი) პოსტები, არ დამიკავშირდა და არ ჩაწერა ჩემთან ინტერვიუ, არ გაარკვია იმ ფაქტების სინამდვილე, რომელიც ერთ მხარისგან მოისმინა. ასევე, დამახინჯებული იყო დედაჩემის საუბარი, რომელიც სიუჟეტში იყო ამოჭრილი და ბევრ კითხვაზე პასუხი გაცემული, თუმცა, ესენი საერთოდ არ გავიდა ეთერში. ანუ, კონტექსტიდან ამოგლეჯილი დამახინჯებული ინფორმაცია გავიდა. აქვე, ავღნიშნავ იმას, რომ "იმედის დილის" რუბრიკა "თათების იმედის" წამყვანსა და ჩემს შორის პირადი კონფლიქტი არსებობს 2019 წლიდან, რაც საფუძვლიან ეჭვს მბადებს იმისას, რომ სიუჟეტი შურისძიების მიზეზით არის მიკერძოებული და პირადი შუღლის ნიადაგზე მომზადებული.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები